ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №55

24 ოქტომბერი, 2025 წელი
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე და გურამ ოქროპირიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტის თაობაზე **(04-032528011-03; 07.10.2025)**
მომხსენებელი: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: სხდომის თავმჯდომარე
2. **საკითხი:** განათლებისა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(12-03252965-03; 23.10.2025)**
მომხსენებელი: ლევან მიქავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
3. **საკითხი:** ვიქტორ სანეევის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ **(19/03252968-03; 23.10.2025)**
მომხსენებელი: განმცხადებელი
თანამდებობა: მერაბ მაისურაძე

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი** „საჯარო სკოლისათვის სახელის

მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტის თაობაზე.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის, გივი მიქანაძის მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილ იქნა „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი.

წარმოდგენილი ბრძანების პროექტით ცვლილება შედის „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში.

ცვლილებების შესაბამისად გასწორდება სამინისტროს სახელწოდება, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაცვლად მიეთითება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ასევე, გაჩნდება შესაძლებლობა რომ საჯარო სკოლას მიენიჭოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პირის სახელი, რომლის სამსახურებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის/სხვისი სიცოცხლის/ჯანმრთელობის/ქონების/ბუნებრივი რესურსების/სახელმწიფო ინტერესების დაცვა ან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვეს:
კახაბერ ლაბუჩიძემ.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, სკოლისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პირის სახელის მინიჭება წარმოადგენს ღირსეულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოხატავს საზოგადოების პატივისცემასა და მადლიერებას გმირობისადმი, ხელს უწყობს მომავალი თაობების აღზრდას პატრიოტულ და მოქალაქეობრივ სულისკვეთებაში, ამაღლებს საზოგადოებრივ ცნობიერებას პასუხისმგებლობისა და ერთგულების მნიშვნელობაზე და უზრუნველყოფს იმ ადამიანის სახელის უკვდავყოფას, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე საერთო კეთილდღეობისთვის გაიღო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტის მიზანშეწონილად ცნობის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად

აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტს.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: განათლებისა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას, რომლის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოცულობა 5 000,0 ათასი ლარით (საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის N1659 განკარგულება), სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (მათ შორის წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები) – 179,4 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ - 5 179,4 ათასი ლარით და შეადგენს - 2 353 788,4 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომაზე განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03)- 1400.0 ათასი ლარით;
- სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) -150.0 ათასი ლარით.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	**5**
წინააღმდეგი	**0**
თავი შეიკავა	**0**

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მესამე საკითხი: ვიქტორ სანეევის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებელს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერიის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა, განმცხადებელს მერაბ მაისურაძეს, რომლის განცხადებით ვიქტორ სანეევი იყო მსოფლიო დონის სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი და საქართველოს სპორტის ისტორიის გამორჩეული ფიგურა. მან სამგზის მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი და დაამყარა არაერთი მსოფლიო რეკორდი. ასევე, ვიქტორ სანეევი იყო ვახტანგ გირგასლის I და II ხარისხის, ღირსების, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენების, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა

შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ვიქტორ სანეევის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე